პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

11
დეკემბერი
ოთხშაბათი,
1963 წ.
№ 244 (2349)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ.

ლელო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ
სპორტულ საზოგადოებათა
და ორგანიზაციების
კავშირისა და პროფ-
კავშირთა საქართვე-
ლოს რესპუბლიკური
საბჭოს ორგანო

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1963 წლის 9 დეკემბერს

კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი, თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, თანამიმდევრულად და დაბეჯითებით ახორციელებენ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენს პარტიულ პროგრამას. როგორც გახსოვთ, ყრილობის გადაწყვეტილებებშიც და პროგრამაშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პარტიისა და ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანაა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ჩვენი პარტია განუხრელად ხელმძღვანელობს ლენინის მითითებებით იმის შესახებ, რომ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სამეურნეო მშენებლობა, ეკონომიკა კომუნიზმისათვის ბრძოლის მთავარი სარბიელია.

საბჭოთა კავშირის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია უკანასკნელ ათწლეულში გადიდდა 2,7-ჯერ. თითქმის ერთიორად გადიდდა შრომის ნაყოფიერება.

მნიშვნელოვანი წარმატებანია მოპოვებული სოფლის მეურნეობაშიც. შარშან შესყიდულია მეტი, ვიდრე 1953 წელს: მარცვალი — 1,8-ჯერ, ხორცი — 2,4-ჯერ, რძე — 2,7-ჯერ, კვერცხი — 3,2-ჯერ, შაქრის ჭარხალი — თითქმის ორჯერ, ბამბა — 12 პროცენტით მეტი.

მიმდინარე წელი, აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, კლიმატური პირობებით განსაკუთრებით არახელსაყრელი იყო. მკაცრმა ზამთარმა, შემდეგ დიდმა გვალვამ დააზარალა ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო რაიონები, მოსავალი მოვიწიეთ უფრო მცირე, ვიდრე შარშან, ხოლო მილიონობით ჰექტარი საშემოდგომო კულტურების ნათესი დაიღუპა.

თუმცა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე წელს დამზადებულია 836 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე 1953 წელს, მაგრამ წელს მარცვალი, უმთავრესად ხორბალი, მაინც არა გვყოფნის. მთავრობა იძულებული გახდა განსაზღვრული რაოდენობის პური შეესყიდა საზღვარგარეთ. აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მსჯელობენ: ეს როგორ მოხდა, წინათ, როცა მარცვლის მთლიანი მოსავალი ნაკლები იყო, პურს ვყიდდით, ახლა კი ვყიდულობთო.

რა უნდა ვუპასუხოთ ასეთ ადამიანებს? თუ მოსახლეობას პურით უზრუნველყოფის საქმეში ვიმოქმედებდით სტალინის, მოლოტოვის მეთოდით, მაშინ წელსაც შევძლებდით პურის გაყიდვას საზღვარგარეთ. მეთოდი ასეთი იყო: პურს საზღვარგარეთ ვყიდდით, ზოგიერთ რაიონში კი პურის ნაკლებობის გამო შიმშილით სივდებოდნენ და იხოცებოდნენ კიდევაც.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მკვეთრად შეიცვალა სახელმწიფო დამზადებების და განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სტრუქტურა. 1953 წელს და წინათ სახელმწიფო შესყიდვის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდიოდა კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის პროდუქციაზე. შარშან კი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წილმა სახელმწიფო შესყიდვაში შეადგინა: ხორცი 86 პროცენტი, რძე — 95 პროცენტი და კვერცხი — დაახლოებით 70 პროცენტი.

პარტიის მთავარი საზრუნავი, განაგრძობს მომხსენებელი, წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლება. ფართოდ უნდა განვავითაროთ ყველაზე პროგრესული მიმართულებანი ტექნიკაში და მთელი სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგები. ერთ-ერთი ასეთი დარგია ქიმიური მრეწველობა.

მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, უკანასკნელი წლების საბჭოთა პრაქტიკა და საზღვარგარეთის პრაქტიკა სულ უფრო სრულად ავლენს ქიმიური ინდუსტრიის მზარდ პოტენციურ შესაძლებლობებს, ამაღლებს მის როლს საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში.

როცა ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ღონისძიებებს ვამუშავებთ, წინ ვდგამთ ახალ დიდ ნაბიჯს, მთლიანად ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და განსაკუთრებით ისეთი საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი დარგების განვითარების გზაზე, როგორიც არის სოფლის მეურნეობა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება.

სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, როცა გადაწყვიტა ერთხელ კიდევ განეხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე საკითხი ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების შესახებ. არსებითად ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ყველაზე მიზანშეწონილი გზებისა და საშუალებების შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წელი) პლენუმის შემდეგ ქიმიური მრეწველობის განვითარებას დიდი ყურადღება დაეთმო. უნდა ითქვას, რომ უკვე ბევრი რამ გაკეთდა. ფართო მასშტაბით გაიშალა ქიმიური ქარხნებისა და საამქროების მშენებლობა. ამ დარგში კაპიტალური დაბანდება შვიდწლედის ხუთ წელიწადში შეადგენს 5,3 მილიარდ მანეთს, რაც თითქმის ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების მთელი ორმოცი წლის მანძილზე მაისის პლენუმამდე.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა პლენუმის განსახილველად შემოიტანა ქიმიური მრეწველობის განვითარების შემდეგი პროგრამა.

ავიყვანოთ ქიმიური მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების მთლიანი პროდუქცია 1963 წელს 8 მილიარდი მანეთიდან 10,5 მილიარდ მანეთამდე 1965 წელს და 24-26 მილიარდ მანეთამდე 1970 წელს. ამასთან მინერალური სასუქების წარმოება მომავალ შვიდწლედში გადიდდება 3,5-4-ჯერ (70-80 მილიონ ტონამდე); მცენარეთა დაცვისა და მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის ქიმიური საშუალებების წარმოება მოქმედ საწყისზე — 7,5-ჯერ; პლასტმასებისა და სინთეზური ფისების წარმოება — 6-6,9-ჯერ (3,5-4 მილიონ ტონამდე); ქიმიური ბოჭკოების წარმოება — 4,4-ჯერ (1.350 ათას ტონამდე); ავტომობილის სალტისა 2-ჯერ (44 მილიონ ცალამდე).

შვიდ წელიწადში უნდა ავაშენოთ დაახლოებით 200 ახალი საწარმო და მოვახდინოთ 500-ზე მეტი მოქმედი საწარმოს რეკონსტრუქცია.

ქიმიური მრეწველობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის კომპლექსური ქიმიზაციისათვის კაპიტალური დაბანდების საერთო თანხა შეადგენს 42 მილიარდ მანეთზე მეტს, აქედან სოფლის მეურნეობის მარტო ქიმიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები დაახლოებით 10,5 მილიარდი მანეთით განისაზღვრება.

ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი წლების მანძილზე პირველად მიიღეს შესაძლებლობა ესოდენ დიდი კაპიტალური დაბანდება გამოეყოთ წარმოების იმ დარგებისათვის, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან.

მოხსენებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქიმიას, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მძლავრ საშუალებას. მოყვანილია გაანგარიშება, თუ სოფლის მეურნეობის რამდენი პროდუქტია საჭირო ხალხისა და სახელმწიფოს მზარდი მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილებისათვის.

სახელმწიფოს ყველა საჭიროების დაკმაყოფილების გათვალისწინებით, საჭირო იქნება ვაწარმოოთ სასურსათო პროდუქტების შემდეგი რაოდენობა: მარცვალი — 14-16 მილიარდი ფუთი 1970 წელს და 18-19 მილიარდი ფუთი 1980 წელს; შესაბამისად ხორცი ნაკლავის წონით — 20-25 მილიონი ტონა და 30-32 მილიონი ტონა; რძე — 115-135 მილიონი ტონა და 170-180 მილიონი ტონა; შაქარი — 10 მილიონი ტონა და 12 მილიონი ტონა.

ასეთი დონის მიღწევა პარტიისა და ხალხის მთავარი ამოცანაა სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ეს იქნება ჩვენი პარტიის პროგრამის კონკრეტული განხორციელება. მარცვლეულის ბალანსის შედგენის დროს ჩვენ მარტო სასურსათო მარცვლეულის მოთხოვნილება როდი უნდა გავითვალისწინოთ. საჭიროა გავითვალისწინოთ მეცხოველეობის სრული უზრუნველყოფაც კონცენტრირებული საკვებით, რაც მარცვლეულის ბალანსის მთავარი გასავლის ნაწილია.

იმისათვის, რომ მოვიყვანოთ მარცვლეული კულტურების მყარი, გარანტირებული მოსავალი და მოვიწიოთ იმდენი პური, რამდენიც საჭიროა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის, აუცილებელია დაჩქარებული ტემპით განვავითაროთ ქიმია, ვზარდოთ მინერალური სასუქების წარმოება.

მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობის განვითარების ძირეული საკითხია. კონკრეტული მაგალითებითა და გაანგარიშებებით ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გვიჩვენებს, რომ ერთადერთი გონივრული გზა, რათა სავსებით დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ზემოაღნიშნული ოდენობით, ეს არის მოსავლიანობის გადიდება. ამასთან მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ სასუქი, საუკეთესო ჯიშების მარცვლეული კულტურები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ავამაღლოთ კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების ოსტატობა.

პარტიამ და მთავრობამ უკანასკნელ წლებში გასწიეს მნიშვნელოვანი მუშაობა მინერალური სასუქების წარმოების გადიდებისათვის. ამის შედეგად სასუქების წარმოება 1953 წლის 7 მილიონი ტონიდან გადიდდა 20 მილიონ ტონამდე მიმდინარე წელს. ეს, რა თქმა უნდა, ცუდი ზრდა როდია. მაგრამ სასუქების ის რაოდენობა, რასაც ჩვენ ახლა ვაწარმოებთ, არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებებს.

მინერალური სასუქების წარმოებაში ჩვენ სერიოზულად ჩამოვრჩებით. ამის გამო ჩამორჩება მოსავლიანობაც, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოსავლიანობა ჰექტარ სახნავზე.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის გაძლიერების ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად, მინერალური სასუქების წარმოება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მთავარი საფუძველია. ქიმია და მექანიზაცია — აი რა უნდა იყოს დღეს პარტიის, მთავრობის, მთელი ხალხის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი სოფლის მეურნეობის დარგში.

სასუქების წარმოებასთან ერთად უნდა მოვაწყოთ ჰერბიციდებისა და შხამ ქიმიკატების წარმოება. სოფლის მეურნეობას დიდად აზარალებს სარეველები, აგრეთვე მცენარეთა სხვადასხვა მავნებლები და დაავადებანი, რომელთა გამო მოსავლის დანაკარგი ბევრ შემთხვევაში 20 პროცენტს შეადგენს.

მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკვებთა გამდიდრებას ზოგიერთი ქიმიური დანამატით, რაც ზრდის მათ ეფექტიანობას. საქმე ეხება საკვებ საფუარს, კონსერვანტებს, მიკროელემენტებს, ვიტამინებს, საკვებ ანტიბიოტიკებს.

შემდეგ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა ქიმიური სასუქების გადაზიდვისა და შენახვის მოწესრიგებაზე, დასვა საკითხი, რომ აშენდეს მექანიზებული საწყობები, დასაფასოებელი ბაზები, რომ მოეწყოს სასუქებისათვის სპეციალური ტარის — პოლიეთილენისა და ქაღალდის ტომრების გამოშვება.

მოხსენებაში აგრეთვე დასმულია მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ქიმიზაციასთან — იმის საჭიროება, რომ გაუმჯობესდეს აგროქიმიური სამსახური სოფლის მეურნეობაში, გაფართოვდეს აგროქიმიკოსი სპეციალისტების მომზადება.

ქიმია, განაგრძობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, საშუალებას გვაძლევს კარდინალურად გადავჭრათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტების სიუხვის პრობლემა. იგი უსაზღვრო შესაძლებლობებს გვაძლევს, რათა ვაწარმოოთ სახალხო მოხმარების უაღრესად ფართო და მრავალფეროვანი ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი საქონელი. ხატოვნად რომ ვთქვათ, ქიმიას შეუძლია არა მარტო კვებოს, არამედ შეუძლია კიდევაც შემოსოს ადამიანი, იგი ადამიანის ყოფაცხოვრებას შესძენს ბევრ მოხერხებულ, იაფ, პრაქტიკულ ნივთს.

იმისათვის, რომ დავაჩქაროთ მსუბუქი მრეწველობის შესაბამისი დარგების განვითარება, 1970 წელს განზრახულია ქიმიური ბოჭკოების გამომუშავება გავადიდოთ დაახლოებით ერთ მილიონ 350 ათას ტონამდე. წარმოების ასეთი მოცულობა შესაძლებლობას მოგვცემს ბევრად გავადიდოთ ქსოვილების, ტრიკოტაჟის ნაწარმისა და ფართო მოხმარების სხვა საქონლის გამოშვება.

წარმოების აღნიშნული მოცულობა საშუალებას მოგვცემს 1970 წელს ქსოვილების წარმოების დარგში მივუახლოვდეთ ამ მხრივ თანამედროვე დონეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო ტრიკოტაჟისა და წინდის წარმოების დარგში მნიშვნელოვნად გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა უზრუნველვყოთ ტრიკოტაჟის ნაწარმით მოხმარების რაციონალური ნორმების მიხედვით.

დასახულია მნიშვნელოვნად დავაჩქაროთ ხელოვნური ტყავისა და აფსკური მასალების წარმოების განვითარება. სახალხო მეურნეობაში ამ მასალების ფართო გამოყენება გამოწვეულია არა მარტო ნატურალური ნედლეულის უკმარობით, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში ხელოვნური მასალების უკეთესი ხარისხითა და მათი დიდი ეკონომიურობით.

ქიმიური მრეწველობის დარგების განვითარება, რომელიც დაკავშირებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასთან, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. იმის მიხედვით, რაც უფრო მეტს ვაწარმოებთ ასეთ მასალებს, ჩვენი ქვეყანა მიიღებს შესაძლებლობას მნიშვნელოვნად შეამციროს სახალხო მოხმარების საქონლის ფასები.

ქიმიური მეთოდების დანერგვა იწვევს ტექნოლოგიის სერიოზულ გარდაქმნებს მძიმე ინდუსტრიის მთელ რიგ დარგებსა და მშენებლობაში. თანამედროვე პოლიმერული მასალების წარმოება და გამოყენება შედარებით ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყეს ჩვენს ქვეყანაში. საჭირო გახდა გარკვეული დრო, მეცნიერების, მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების დიდი მეცადინეობა, რათა შეესწავლათ პლასტმასების თვისებები, მოეწყოთ მათი წარმოება.

მაგრამ, რაც გაკეთდა, უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც მცირედი დასაწყისი. შარშან სინთეზური ფისები და პლასტმასები წარმოებულ იქნა 470 ათას ტონაზე ცოტათი მეტი. ეს დაახლოებით იმდენია, რამდენსაც საფრანგეთი აწარმოებს. ეს, რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნისათვის სრულებით არ არის საკმარისი.

1970 წლისათვის გათვალისწინებულია წარმოებულ იქნას 3,5-4 მილიონი ტონა პლასტიკური მასები და სინთეზური ფისები. ეს ექვს-შვიდჯერ იმაზე მეტია, რასაც ამჟამად ვაწარმოებთ.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1963 წლის 9 დეკემბერს

(დასასრული)

მოხსენების დიდი ნაწილი ეძღვნება ქიმიის მიღწევათა დანერგვის საკითხებს მძიმე ინდუსტრიასა და მშენებლობაში.

შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირება მნიშვნელოვან წილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ადგილს დაიკავებენ ქიმიის პროდუქტები მშენებლობაში და განსაკუთრებით საშენი მასალების მრეწველობაში.

შემდეგ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა ქიმიური მანქანათმშენებლობის მკვეთრი აღმავლობის აუცილებლობაზე, ქიმიურ საწარმოთა მშენებლობის უკეთ მოწყობასა და რეკონსტრუქციაზე, მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაზე ქიმიის დარგში.

ქიმიის განვითარების დასახული პროგრამის წარმატებით განხორციელება ჩვენს ქვეყანას უდიდეს ეკონომიურ ეფექტს მისცემს. თუ განვაზოგადებთ ყოველივე იმას, რასაც ამ გეგმის განხორციელების შედეგად მივიღებთ, ეს შეადგენს უზარმაზარ, მილიარდიან თანხებს.

მარტო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით ქიმიური მასალების გამოყენების შედეგად სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში 1964-1970 წლების პერიოდში მივიღებთ 32 მილიარდ 700 მილიონი მანეთის ეკონომიას. ხოლო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ღონისძიებათა შედეგად მიღებული საერთო წმინდა შემოსავალი 1964-1970 წლებში შეადგენს თითქმის 57 მილიარდ მანეთს, როცა ამავე პერიოდისათვის კაპიტალური დაბანდება იქნება 42 მილიარდი მანეთი.

მოხსენების დასასრულს, რომლის დროსაც არაერთხელ გაისმოდა მქუხარე ტაში, ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა:

— ჩვენ მივდივართ სწორი, ერთადერთი საიმედო გზით, რომელიც დიდმა ლენინმა დაგვისახა და რა სიძნელეებიც არ უნდა იდგეს ამ გზაზე, კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი დაძლევს მათ. არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს საბჭოთა ხალხს დასახული მიზნის მიღწევაში. წინ, ამხანაგებო, ახალი წარმატებებისათვის კომუნიზმის მშენებლობაში!

პლენუმი მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

10 საუკეთესო მძლეოსანი

★

1963 წლის შედეგების მიხედვით

★

ბირთვის კვრა — **თ. მეჭურჭლიშვილი** — 17.04 (40), თბილისი, „ბურ". 4 XI, თელავი; **მ. ოყროშიძე** — 16.85 (44), თბილისი, „ბურ". 11 V, თბილისი; **ვ. ბლიაძე** — 15.58, 23 VII, ბორჯომი; **ლ. სონღულაშვილი** — 15.09 (37), თბილისი, „ბურ". 20 X, თბილისი; ო. გოშაძე — 14.98 (37), თბილისი, „სპარტ". 11 VI, თბილისი, ი. დიაჩკოვი — 14.56, 9 IV, ლესელიძე; ი. წულუკიძე — 14.31, 17 VI, ლესელიძე; ნ. ნოვიკოვი — 14.15 (46), სოხუმი, „დინამო", 12 V, სოხუმი; ნ. ჰეიშვილი — 14.10, 19 IV, ლესელიძე; ბ. ხარჩილავა—14.08 (42), ქუთაისი, „ბურ". 18 V, ქუთაისი.

საშუალო შედეგი 1962 წ—14.91; 1963 წ — 15.07.

ათჭიდი — **ო. ხოლოდოკი** — 7467, 2-3. IX, კიევი; **ი. დიაჩკოვი** — 7181, 9-10 IX, კიევი; **ი. ხანგულია** — 6033, 14-15 VIII, მოსკოვი; **ვ. ხილუიანოვი** — 5617 11-12 VI, თბილისი; რ. ქვაჩაკიძე — 5561 20-21 IX, ოდესა; ი. ჩირიკაშვილი — 4980, 21-22 V, თბილისი.

საშუალო შედეგი 1962 წ—5668; 1963 წ — 6136.

ქალები

რბენა 100 მ — ლ. იევლევა — 12,0 (41), თბილისი, „ბურ". 23 VII, ბორჯომი; **ი. ბურლაკოვა** — 12,1 (43), თბილისი, „ბურ". 10 VI, თბილისი; **ნ. სოლოვიოვა** — 12,1 (44), სოხუმი, „დინამო", 22 VII, ბორჯომი; **ა. ოვივიანი** — 12,2 (34), თბილისი, „დინამო", 6 IX, კიევი; **თ. როჟმანოვა** — 12,3 (42), ბათუმი, „კოლმ". 10 V, თბილისი; **გ. კონონენკო** — 12,3 (48), თბილისი, გან. განყ. 4 VI, თბილისი; ნ. ნოზაძე — 12.4 (41), თბილისი, „კოლმ", 18 V, ბაქო; ვ. ქუთათელაძე — 12,4 (48), თბილისი, გან. განყ. 4 VI, თბილისი; გ. კოსტიუკი — 12,4 (46), გაგრა, გან. განყ. 4 VI, თბილისი; რ. ქოჩლაძე—12,4 (30), თბილისი, „სპარტ". 22 VII, ბორჯომი.

საშუალო შედეგი 1962 წ — 12,5; 1963 წ — 12,3.

რბენა 200 მ — ა. ოვივიანი — 25,4, 23 VII, ბორჯომი; ი. ბურლაკოვა — 25,5, 19 V, ბაქო; რ. იანშინა — 25,7 (42), თბილისი, „დინამო", 30 VII, მოსკოვი; ნ. სოლოვიოვა — 25,8, 16 V, გაგრა; ლ. იევლევა — 26,0, 15 VIII, მოსკოვი; გ. კოსტიუკი — 26,1, 23 VII, ვოლგოგრადი; ნ. დანელია — 26,1 (48), გაგრა, გან. განყ. 16 V, გაგრა; ვ. ქუთათელაძე — 26,3, 7 VII, ლესელიძე; ვ. ფურსინა — 26,3 (46), თბილისი, გან. განყ. 7 VII, ლესელიძე; ნ. ნოზაძე — 26,4, 30 VII, მოსკოვი.

საშუალო შედეგი 1962 წ—26,3; 1963 წ — 26,0.

რბენა 400 მ — **გ. ზრაჟევსკაია** — 57,7 (37), თბილისი, სკა, 10 VIII, მოსკოვი; **ლ. თოფჩიშვილი** — 58,4 (39), გორი, „ბურ". 10 VIII, მოსკოვი; ს. ყალიჩავა — 58,5 (37), სოხუმი, „კოლმ". 12 VII, ბორჯომი; ა. შუქუროვა — 58,8 (36), თბილისი, „სპარტ". 10 VIII, მოსკოვი; გ. კოსტიუკი — 1.01,7, 15 III, გაგრა; ნ. ნესტერენკო — 1.02,0 (45), სოხუმი, გან. განყ. 20 IV, ლესელიძე; ლ. კოტოვა—1.02,2 (41), თბილისი, „ბურ". 12 VII, ბორჯომი; ნ. გაბეხაძე — 1.03,8 (38), თბილისი, „ბურ". 22 X, თბილისი; ლ. შაბანოვა — 1.04,2 (47), სოხუმი, გან. განყ. 20 IV, ლესელიძე; ქ. მიხაილოვა — 1.04,8 (46), ბათუმი, გან. განყ. 15 IX, ბათუმი.

საშუალო შედეგი 1962 წ—1 წუთი; 1963 წ — 1.01,1.

რბენა 800 მ — გ. ზრაჟევსკაია — 2.13,8, 30 VII, მოსკოვი; ლ. თოფჩიშვილი — 2.18,3, 13 VIII, მოსკოვი; ლ. კოტოვა — 2.21,0, 12 VI, თბილისი; ა. შუქუროვა — 2.25,0, 13 VIII, მოსკოვი; ლ. ზგურსკაია—2.35,2 (42), თბილისი, „ბურ". 20 X, თბილისი; ლ. პარხუნი — 2.38,2 (46), თბილისი, „ბურ". 20 X, თბილისი; ტ. მატიუში — 2.48,6 (42), თბილისი, „ბურ". 22 III, თბილისი.

საშუალო შედეგი 1962 წ—2.31,0; 1963 წ—2.28,3.

80 მ თარჯრბენი — ლ. იევლევა — 10,8, 29 VII, მოსკოვი; **თ. როჟმანოვა** — 11,0 (42), ბათუმი, „კოლმ". 13 VII, ბორჯომი; **რ. ქოჩლაძე**—11,0 (30), თბილისი, „სპარტ". 30 VII, მოსკოვი; **რ. იანშინა** — 11,2, 13 VII, ბორჯომი; **ნ. გაბეხაძე** — 11,3, 22 VII, ბორჯომი; **ლ. ვოლოშინა** — 11,4 (40), თბილისი, სკა, 22 VII, ბორჯომი; მ. გაბუნია — 11,7 (45), გეგეჭკორი, გან. განყ. 30 VI, ლესელიძე; მ. ოგანესიანცი — 11,7 (48), ჭიათურა, გან. განყ. 22 VII, ვოლგოგრადი; ზ. სანეევა— 11,9 (39), თბილისი, „ბურ". 3 II, ლენინგრადი; ი. ავსაჯანიშვილი — 11,9 (44), თბილისი, „ბურ". 18 VI, თბილისი.

საშუალო შედეგი 1962 წ—11,6; 1963 წ — 11,4.

სიმაღლეზე ხტომა — **ხ. პრიბელსკაია** — 160 (43), თბილისი, „სპარტ". 28 III, თბილისი; **ლ. პატარიძე** — 156 (42), თბილისი, „ბურ". 8 IV, ლესელიძე; **ი. გაბაშვილი** — 155 (43), თბილისი, „სპარტ". 28 III, თბილისი; **ი. შონვაძე**—155 (46), ქუთაისი, გან. განყ. 8 VII, ლესელიძე; **ი. ავსაჯანიშვილი** — 155, 29 VII, მოსკოვი; ლ. ვოლოშინა — 154, 11 VI, თბილისი; ზ. სანეევა — 153, 29 IV, თბილისი; ჯ. ხოფერია — 150 (48), ბათუმი, გან. განყ. 30 III, თბილისი; ქ. თოთიბაძე—150 (46), ბათუმი, გან. განყ. 30 III, თბილისი; ჯ. ჩუბინიძე—150 (48), ქუთაისი, გან. განყ. 30 III, თბილისი; თ. ადეიშვილი — 150 (46), სოხუმი, გან. განყ. 30 III, თბილისი; ს. ალექსანდროვა — 150 (47), თბილისი, გან. განყ. 30 III, თბილისი; რ. როჟმანოვა — 150 (42), თბილისი, „დინამო", 29 IV, თბილისი; თ. როჟმანოვა — 150, 15 V, ბათუმი; ლ. იევლევა—150, 14 VIII, მოსკოვი.

საშუალო შედეგი 1962 წ — 152; 1963 წ — 154.

სიგრძეზე ხტომა — **ლ. იევლევა** — 6.12, 11 V, თბილისი; **რ. იანშინა** — 5.78, 12 VII, ბორჯომი; **ა. ოვივიანი** — 5.74, 11 VIII, მოსკოვი; **ლ. ვოლოშინა** — 5.72, 12 VII, ბორჯომი; თ. როჟმანოვა — 5.69, 11 VIII, მოსკოვი; ნ. სოლოვიოვა — 5.60, 21 VI, ლესელიძე; ს. გერასიმენკო — 5.52 (46), ბათუმი, გან. განყ. 22 VII, ვოლგოგრადი; ზ. სანეევა — 5.50, 12 VII, ბორჯომი; მ. ოგანესიანცი — 5.48, 30 VI, ლესელიძე; ლ. შუმილინა — 5.46 (47), თბილისი, გან. განყ. 5 VI, თბილისი.

საშუალო შედეგი 1962 წ—5.60; 1963 წ — 5.66.

ბადროს ტყორცნა — ლ. ტუღუში — 54.68 (35), ბათუმი, „დინამო", 10 VI, თბილისი; **ი. მხეიძე** — 47.44 (40), თბილისი, „დინამო", 25 V, თბილისი; **მ. ნედელია** — 44.32 (41), ბათუმი, „დინამო", 20 VII, ბაქო; ქ. კახიშვილი — 43.08 (35), თბილისი, „სპარტ". 21 X, თბილისი; მ. გაბრიჭიძე — 41.43 (45), ქუთაისი, გან. განყ. 21 VII, ვოლგოგრადი; ნ. ჩხეიძე — 40.27 (40), თბილისი, „ბურ". 21 X, თბილისი; მ. უჩაძე — 38.30 (47), გაგრა, გან. განყ. 30 VI, ლესელიძე; ს. ლევიცკაია — 37.69 (38), ბათუმი, „ლოკ". 1 IX, ბათუმი; ა. ისპირიანი — 37.64 (38), ბათუმი, „დინამო", 1 IX, ბათუმი; ა. მატუსოვა — 36.92 (47), თბილისი, „დინამო", 5 VI, თბილისი.

საშუალო შედეგი 1962 წ—42.86; 1963 წ — 42.18;

შუბის ტყორცნა — გ. ბრიტვინა — 48.17 (30), თბილისი, „დინამო", 19 V, ბაქო; **ს. ლევიცკაია** — 45.10, 12 VII, ბორჯომი; ზ. შანგუა — 42.65 (39), თბილისი, „სპარტ". 5 VII, ბორჯომი; ც. ლიპარტელიანი—41.26 (46), ლენტეხი, გან. განყ. 14 V, თბილისი; ლ. სტუკოვა — 40.24 (41), თბილისი, „ბურ". 16 IV, თბილისი; ს. პოლი — 38.83 (47), გაგრა, გან. განყ. 21 VII, თბილისი; ლ. კოზინა — 38.31 (46), ქუთაისი, გან. განყ. 6 VI, თბილისი; ზ. ნანიევა — 37.95 (47), ცხინვალი, გან. განყ. 6 VI, თბილისი; ლ. რიაბცევა — 36.42 (46), სოხუმი, გან. განყ. 15 III, სოხუმი; შ. წამალაშვილი— 35.80 (43), თბილისი, „ბურ". 15 XI, თბილისი.

საშუალო შედეგი 1962 წ—38.84; 1963 წ — 40.47.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 242, 243.



რეკორდები, ოსტატები

სოხუმის „დინამოს" სტადიონზე დამთავრდა აფხაზეთის პირადი პირველობა მძლეოსნობაში. შესანიშნავმა ამინდმა სპორტსმენებს საშუალება მისცა ეჩვენებინათ სარეკორდო და ოსტატის შედეგები.

მწვრთნელ ა. კერსელიანის ორი აღზრდილი — ვ. ალექსანდროვი და ო. ბარგანჯია უკვე 11 წელია ხტომებში ვარჯიშობენ. პირველი საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი და რეკორდსმენია სამხტომში, მეორე — აფხაზეთის რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში. ორივე რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრები არიან და ჩვენი ქვეყნის სამივე სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ, მაგრამ ამ შეჯიბრებამდე არცერთს არ ჰქონდა შესრულებული ოსტატობა, თუმცა მიზანთან ხშირად ახლოს იყვნენ.

და აი, სეზონის დასასრულს შრომისმოყვარე ახალგაზრდებმა მიზანი შეისრულეს. სამხტომში გამარჯვებისათვის იბრძოდა ხუთი სპორტსმენი, რომელთა შორის იყო რესპუბლიკის რეკორდსმენი, თბილისელი ოსტატი ვ. ჩხეიძეც. წარმატებით აღინიშნა ვ. ალექსანდროვის პირველი ცდა. იგი 15.75 მ-ზე გადახტა, გააუმჯობესა აფხაზეთის რეკორდი და შეასრულა ოსტატის ნორმატივი, მას ეს წარმატება პირველმა ვ. ჩხეიძემ მიულოცა და შემდეგ თვითონ სცადა ძალები. იგი 15.92 მ-ზე გადახტა, რაც საქართველოს ახალი რეკორდია.

სიმაღლეზე ხტომა! შეძლებს თუ არა ო. ბარგანჯია ოსტატის ზღვარის დაძლევას. აი რა აინტერესებდათ შეკრებილთ. მან ადვილად გადალახა 1.96 მ და ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა აფხაზეთის რეკორდი, რის შემდეგ სპორტსმენმა იერიში მიიტანა ოსტატობის ზღვარზე — 2 მეტრზე, ცდა წარმატებით დამთავრდა. რესპუბლიკას შეემატა კიდევ ერთი ოსტატი.

ვ. სემიონოვი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ვ. ჩხეიძე სარეკორდო ხტომის დროს, შუაში — ო. ბარგანჯია სძლევს 2 მეტრ სიმაღლეს, მარჯვნივ — ვ. ალექსანდროვი, რომელმაც სამხტომში შეასრულა ოსტატის ნორმატივი.

● შეხვედრა ტორპედოელებთან ●

ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა წარმატებით დაამთავრეს 1963 წლის საკავშირო ჩემპიონატი. მათ დაიკავეს მე-12 ადგილი და მტკიცედ დამკვიდრდნენ „ა“ კლასის I ქვეჯგუფში.

ამას წინათ ქუთაისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით ფილარმონიის საზამთრო დარბაზში მოეწყო ქალაქის ახალგაზრდობის შეხვედრა ტორპედოელ ფეხბურთელებთან. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა თ. იმედაძემ, ხოლო მოხსენება წაიკითხა ვ. თევდორაძემ. სპორტსმენებს მიესალმნენ მოსწავლეები ა. აბესაძე და ქ. რობაქიძე. ავტოქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა კ. კინწურაშვილმა ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მიერ დაწესებული თასი ყველაზე ტექნიკური მოთამაშისათვის გადასცა ტორპედოელთა გუნდის კაპიტანს გ. ნიშნიანიძეს.

სიტყვით გამოვიდა ქუთაისის „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი ი. ლობჟანიძე.

• • •

სურათზე: ქუთაისის კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. იმედაძე ჯილდოს გადასცემს გ. ნიშნიანიძეს.

ტექსტი და ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

XXXI ჩემპიონატზე

ლენინგრადში საბჭოთა კავშირის XXXI საჭადრაკო ჩემპიონატის X ტურში დამთავრდა ექვსი პარტია.

პირველი გამარჯვება მოიპოვა ლატვიელმა კლოვანმა პარტიაში ყველაზე ახალგაზრდა მონაწილესთან ზახაროვთან, ესტონეთის ჩემპიონმა ნეიმ დაამარცხა ლატვიის ჩემპიონი გიპსლისი.

ყაიმით დასრულდა ბრონშტეინ-შტეინის პარტია. საინტერესოა, რომ ეს შტეინის რიგით მეცხრე ყაიმია. „საზავო“ ხელშეკრულებ[illegible]ბით დამთავრდა აგრეთვე ხოლმოვ-კორჩნოის, ფურმან-გელერისა და პოლუგაევსკ-გუფელდის შეხვედრები.

X ტურის შემდეგ ე. გელერს, ლ. პოლუგაევსკსა და რ. ხოლმოვს 6,5-6,5 ქულა აქვთ, ბ. სპასკის — 6 ქულა და ავერბახთან გადადებული პარტია.

ევროპის ჩემპიონთა თასზე

ლიეჟი. ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასა“ და ადგილობრივი „სტანდარტის“ განმეორებით შეხვედრაში გაიმარჯვეს იუგოსლაველმა კალათბურთელებმა (ქალებმა) — 58:54. „ცრვენა ზვეზდამ“ მოიპოვა ტურნირის შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება.

ამსტერდამი. ადგილობრივმა „ანტვერპსემ“ (ვაჟები) დაამარცხა „ალიანსი“ (კასაბლანკა) — 104:62. პირველ მატჩშიც უპირატესობა „ანტვერპსეპ“ მხარეს იყო — 73:54.

რაბატი. „ვისლამ“ (კრაკოვი) გამართა პირველი მეოთხედფინალური მატჩი მაროკოს ჩემპიონთან. გაიმარჯვეს პოლონელმა კალათბურთელებმა — 73:19.

სტამბოლი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ (განმეორებით მატჩში) ბუდაპეშტის მტკ-ა და „გაზი ეგიტიმი“ (სტამბოლი). გამარჯვება ამჯერადაც უნგრეთის კალათბურთელ ქალთა მხარეს იყო — 93:34. „გალატასარაიმ“ (ვაჟთა გუნდი) დაამარცხა აეკ (საბერძნეთი) — 88:68.

ბერლინი. გდრ-ს ჩემპიონმა ვაჟთა შორის „ჰემიმ“ (ქალაქ ჰალედან) ორჯერ დაამარცხა ლოზანის სმბ (შვეიცარია) — 72:59 და 89:60. „ჰემი“ გავიდა თასის გათამაშების მერვედფინალში. ასევე ორი შეხვედრა მოუგო ჟენევის „ჰელვეტიკს“ ბერლინის ტსკ-მ (72:35 და 92:41).

პარიზი. საფრანგეთის ჩემპიონმა პიუკ-მა დაამარცხა ლუქსემბურგის „ეგელი“ — 72:57. მერვედფინალში ფრანგები შეხვდებიან იუგოსლაველ კალათბურთელებს.

ასე აღარ უნდა გაგრძელდეს!

უკანასკნელ დროს ტანვარჯიშში შეჯიბრებებმა დაკარგეს გულშემატკივრები, მაყურებელთა ინტერესი. ამ გარემოებას ბევრი მიზეზი განაპირობებს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია შეჯიბრებათა ცუდი ორგანიზაცია და მონაწილეების მოუმზადებლობა.

ეს გარემოება შეიმჩნეოდა, კერძოდ, ახლახანს დამთავრებულ საქალაქო პირველობაზე (მეორე ტური). აღნიშნული შეჯიბრების ამოცანას წარმოადგენდა თანრიგოსან სპორტსმენთა გამოვლინება. ამოცანა შეუსრულებელი დარჩა, რადგან პირველობა ჩატარდა მეტად უფერულად, სპორტსმენები აშკარად სუსტად გამოდიოდნენ, არ იყო მასობრიობა.

საკმარისია ითქვას, რომ პირველ ქვეჯგუფში მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტმა შეძლო დებულებით გათვალისწინებული 26 სპორტსმენის გამოყვანა, დანარჩენმა კოლექტივებმა კი ვერ უზრუნველყვეს მონაწილეთა საჭირო კონტიგენტი. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა იყო სხვა ქვეჯგუფებში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მთელმა რიგმა კოლექტივებმა თავიანთი სპორტსმენების ნაცვლად შეჯიბრებაზე წარმოადგინეს საშეფო სკოლებისა, ან თავიანთი სპორტსკოლების აღსაზრდელები — მოსწავლეები.

პირველობის ტექნიკური შედეგები ასეთია:

პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის (უმაღლესი სასწავლებლები) ვაჟთა ყველა თანრიგში ცალ-ცალკე და საერთო ჯამშიც პირველი ადგილი დაიკავა ფიზკულტურის ინსტიტუტმა. საერთო მეორე ადგილი წილად ხვდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ხოლო მესამე — უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდებს.

ქალთა შორის ფიზკულტურის ინსტიტუტმა პირველი ადგილი დაიკავა მესამეთანრიგოსანთა შორის, ხოლო მესამე ადგილი — მეორეთანრიგოსანთა შორის, უნივერსიტეტმა — მეორე ადგილი მესამეთანრიგოსანთა შორის და პირველი ადგილი — მეორეთანრიგოსანთა შორის, პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა — მესამე ადგილი მესამეთანრიგოსანთა შორის და მეორე ადგილი — მეორეთანრიგოსანთა შორის.

მეორე ქვეჯგუფში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ტექნიკუმების გუნდებს, მაგრამ სავალალო ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა და შეჯიბრებაზე არცერთმა ტექნიკუმმა არ წარმოადგინა გუნდი.

მესამე ქვეჯგუფში მხოლოდ ერთი კოლექტივი მონაწილეობდა — „ისანი“, რომელიც ბავშვთა სპორტსკოლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული. მართალია, ბავშვები კარგად გამოვიდნენ, მაგრამ მათი მონაწილეობა ასეთ შეჯიბრებაზე, უფროსთა შორის, დაუშვებელი იყო. მეოთხე ქვეჯგუფში მონაწილეობდა ორი სპორტსაზოგადოება — „დინამო“ და „ლოკომოტივი“. გაიმარჯვა „დინამომ“.

პირველთანრიგოსან ვაჟთა შორის პირად ჩათვლაში გაიმარჯვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელმა ლაითაძემ, მეორეთანრიგოსანთა შორის — ევსუკოვმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), მესამეთანრიგოსნებში — აბულაძემ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი). ქალთა პირადი შეჯიბრების შედეგები დაჯამდება 19 დეკემბერს, ქალთა საქალაქო სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ.

საჭიროა ტანვარჯიშის საქალაქო და რესპუბლიკურმა ფედერაციებმა მსჯელობის საგნად გახადონ აღნიშნული ასპარეზობის ნაკლოვანებანი, რათა მომავალი წლის კალენდრით გათვალისწინებული შეჯიბრებები მაღალ ორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე ჩატარდეს.

ა. ჯორჯაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მ. ბოტვინიკი ჰოლანდიაში

გასულ კვირას საბჭოთა კავშირ-ნიდერლანდების მეგობრობის საზოგადოების მიწვევით ჰოლანდიაში გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირში ასეთივე საზოგადოების თავმჯდომარე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი და საზოგადოების წევრი გროსმაისტერი ს. ფლორი.

საბჭოთა მოჭადრაკეები ჰოლანდიაში შეხვდებიან ჭადრაკის მოყვარულებს. ამსტერდამში მ. ბოტვინიკი მონაწილეობას მიიღებს პატარა ტურნირში, ხოლო შემდეგ ჰოლანდიის სხვადასხვა ქალაქში ს. ფლორთან ერთად გამართავს ერთდროული თამაშის სეანსებს.

წოდებათა მინიჭება

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: თავისუფალ ჭიდაობაში — ლ. ქავთარაძეს, ო. თათრიშვილს (ორივე ზესტაფონის „კოლმეურნე“), შ. სიფრაშვილს (სიღნაღის „კოლმეურნე“), კ. სპანდერაშვილს (რუსთავის „განთიადი“), უ. გოშაძეს (თბილისის „დინამო“), ზ. გობეჯიშვილს (ქუთაისის „განთიადი“), ვ. გაროზაშვილს (ჩაქვის „კოლმეურნე“) თ. ბაბაშვილს, დ. ქავთარაშვილს (ორივე თბილისის „სპარტაკი“), ზ. კეკუას (ბათუმის „დინამო“), გ. ძიძიგურს (დუშეთის „კოლმეურნე“), ლ. ჯაფარიძეს (მარტყოფის „კოლმეურნე“), კლასიკურ ჭიდაობაში — ნ. ტყეშელაშვილს, ა. მანუკოვს, ვ. აბასოვს (სამივე თბილისის „სპარტაკი“), კ. შავგულიძეს, რ. მორჩილაძეს, (ორივე მახარაძის „კოლმეურნე“), გ. თიგინაშვილს (დუშეთის „კოლმეურნე“), ვ. ზამთარაძეს (თბილისის „ლოკომოტივი“), გ. ძნელაძეს (ჩაქვის „კოლმეურნე“), პ. ჩულფას (სოხუმის „დინამო“), კ. თურმანიძეს (ბათუმის „კოლმეურნე“), პ. ჯიოშვილს (რუსთავის „განთიადი“); მძლეოსნობაში — ნ. ევსეევს (თბილისის „კოლმეურნე“). ბ. სამოილენკოს (თბილისის „ბურევესტნიკი“), ი. არშბას (თბილისის „დინამო“), შ. ართმელაძეს (ქობულეთის „კოლმეურნე“), ა. ოგანეზოვს (ბორჯომის „სპარტაკი“); თანამედროვე ხუთჭიდში — ა. ოვნანიანს (თბილისის „სპარტაკი“), ვ. ანანოვს (თბილისის „დინამო“); ველორბოლში — ნ. ციკოლიას (თბილისის „კოლმეურნე“), გ. შონიას (ზუგდიდის „კოლმეურნე“); წყალბურთში — ჯ. თორთლაძეს (თბილისის „დინამო“); ცურვაში — ს. შაგოვას (ბათუმის „დინამო“).

• • •

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა: მძლეოსნობაში — ე. გოკიელს, ა. კალინინს (ორივე თბილისის „დინამო“); ჭიდაობაში — ლ. ბერიევას (თბილისის „ბურევესტნიკი“); კრივში — ა. ავეტისიანს (თბილისის „სპარტაკი“); ტანვარჯიშში — მ. ჯუღელს (თბილისის „დინამო“); სასტენდო სროლაში — ვ. ცინცაძეს (თბილისის მონკავშირი).

• • •

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა: კრივში — ლ. ანდღულაძეს, გ. ხანუკაშვილს (ორივე თბილისის „სპარტაკი“), რ. იაშვილს (სოხუმის „განთიადი“).

მწვრთნელი და მეგობარი

ორი წელია, რაც პენსიაში გავიდა ჩვენი ქვეყნის დამსახურებული მწვრთნელი, ფარიკაობის ვეტერანი ს. საყვარელიძე, მაგრამ ამას ოდნავადაც არ შეუშლია ხელი მისთვის კვლავ ძველი გატაცებით გადასცეს ახალგაზრდებს თავისი გამოცდილება. იგი სისტემატურად მუშაობს ახალგაზრდა მწვრთნელებთან — ო. აბაშიძესთან, ს. ცხადაძესთან, გ. ყლენტთან. არ ივიწყებს თვით სპორტსმენებსაც. ზესტაფონელი ჭაბუკები და გოგონები მათი საყვარელი ადამიანის მეთვალყურეობით არა მარტო ფარიკაობის ტექნიკას ეუფლებიან, არამედ აქვე ამზადებენ გაკვეთილებს, სწავლობენ რუსულ და უცხო ენებს.

ს. საყვარელიძე ძალების დაუზოგავად მუშაობს საქართველოში ფარიკაობის განვითარების ამსახველი მასალების შეგროვებაზე და განზრახული აქვს იგი საქართველოს სპორტულ მუზეუმს გადასცეს.

ა. განუგრაშა

ბაქო. საბჭოთა კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი. **სურათზე:** ეს-ესაა დამთავრდა მორიგი ტური. თბილისელი ოსტატი ე. კაკაბაძე არჩევს გათამაშებულ პარტიას. მაგიდასთან დგას ტურნირის მონაწილე ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, მოსკოველი ლ. ბოსტნიკოვა.

ფოტო ვ. აბრამოვსკისა.

სამტრედიის რაიონის საჯავახოს საშუალო სკოლის მოსწავლეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტი, კერძოდ კი ტურიზმი. ამას წინათ მოსწავლეებმა მოაწყეს ტურისტული ლაშქრობა ზანდოს მთაზე.

სურათზე: ფიზალზრდის მასწავლებელი ამირან მალაზონია (მარცხნიდან მესამე) მოსწავლეებს უხსნის ლაშქრობის მარშრუტს.

ფოტო გ. ჯაყელისა.

საუკუნის მეოთხედი

ქართული სპორტის ისტორიას ბევრი გამოჩენილი სახელი ამშვენებს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გაიოზ ბერელაშვილს. ჯერ კიდევ 1912 წელს პრაღაში საერთაშორისო შეჯიბრებაზე მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან წარგზავნილ იქნა წარჩინებულ სპორტსმენთა ჯგუფი, რომელშიც ბერელაშვილიც შედიოდა.

პრაღის ამბებს მაშინდელი ჟურნალ-გაზეთები ფართო ადგილს უთმობდნენ. „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სურათებიან დამატებაში (1912 წ. № 116) მოათავსა პრაღის ასპარეზობაში წარმატებით გამოსული ბერელაშვილის სურათი, იგი გამოწყობილია ჩეხურ სპორტულ ტანსაცმელში, რომლის ჩაცმის უფლება მხოლოდ გამარჯვებულებს ენიჭებოდათ. სურათს ასეთი წარწერა ამშვენებს: „ბერელაშვილი (თბილისიდან), რომელმაც პრაღაში მარათონის დღესასწაულზე გაიმარჯვა და პირველი ჯილდო მიიღო".

ერთხელ თბილისში მოეწყო ტანმოვარჯიშეთა დიდი შეჯიბრება.

ამის შესახებ ერთი საინტერესო მოგონება დაგვიტოვა ძველმა სპორტსმენმა გიორგი ბერიძემ, რომელიც თვითმხილველი და მონაწილე იყო ამ შეჯიბრებებისა. იგი აღნიშნავდა: „ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში თბილისში მოეწყო ტანმოვარჯიშეთა პირველი დიდი შეჯიბრება. პირველი დღის გმირი გიორგი ნიკოლაძე იყო. გაიოზი და გოგი მერკვილაძე გიორგისთან მივიდნენ, მიულოცეს. გიორგი ჩვეულებრივი ხარხარით მიეგება, თანაც სიცილის დროს თავზე ხელი მოიკიდა. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, ვერ გადავაჩვიეთ.

„თქვენ დალუპულებო, გეუბნებოდით ივარჯიშეთ, მაშ რა გეგონათ, მოხვედრით და პირველ ჯილდოს მიიღებდით? მე ძალიან გამეხარდა, რომ შენ (გოგიზე მიუთითა) მეხუთე ადგილი დაიჭირე", — და ისევ ხარხარს მოჰყვა.

გაიოზმა მიულოცა და დასძინა, შეჯიბრება ჯერ არ დამთავრებულა, ვნახოთ, ჩვენ კიდევ ვცდით ძალებსო.

მეორე დღეს შეჯიბრებას გაიოზი ჩაუდგა სათავეში და ინიციატივა ბოლომდე შეინარჩუნა. შეჯიბრება დასრულდა. პირველი ადგილი დაიკავა გ. ბერელაშვილმა, მეორე — გ. მერკვილაძემ, მესამე—ვ. მაჭავარიანმა და მეოთხე — გ. ნიკოლაძემ. ასე დასრულდა ტანმოვარჯიშეთა პირველი შეჯიბრება".

გაიოზ ბერელაშვილი მთელ ძალღონეს ახმარდა საქართველოში სპორტის განვითარების საქმეს. იგი გ. ნიკოლაძესთან, ი. ლორთქიფანიძესთან, გ. ეგნატაშვილთან და თ. ნიკოლაძესთან ერთად საქართველოში სპორტული ორგანიზაციის ფუძემდებელია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ახალგაზრდა სპორტსმენი გაიოზ ბერელაშვილი სიხარულით შეეგება. მას მიანდეს კავკასიის წითელდროშოვან არმიაში ფიზკულტურული მომზადების საქმის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა. გ. ბერელაშვილმა ჩვეული ენერგიით მოჰკიდა ხელი მისთვის საყვარელ საქმეს და მალე არმიაში ფიზკულტურული მუშაობის ერთი პირველი ორგანიზატორი გახდა. 1932 წლის 7 ნოემბერს გაიოზ ბერელაშვილს კავკასიის წითელდროშოვან არმიაში ფიზკულტურული მუშაობის სანიმუშოდ დაყენებისათვის საბჭოთა არმიის სამხედრო რევოლუციურმა საბჭომ გადასცა ქების სიგელი და ჯილდო.

გაიოზ ბერელაშვილმა საქართველოში სპორტის განვითარებას თითქმის მეოთხედი საუკუნე მოახმარა. მან თავისი მოღვაწეობით ერთი საინტერესო ფურცელი ჩასწერა ქართული სპორტის მატიანეში.

ვ. სიდამონიძე.

პაექრობა „გუსტავის თასზე"

შვეციის ჩოგბურთელთა კავშირი ყოველწლიურად აწყობს საერთაშორისო პაექრობას, რომელსაც „მეფე გუსტავის თასის გათამაშება" ეწოდება. მისი შესარჩევი თამაშები სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარეობს, შემდეგ კი რამდენიმე უძლიერესი მონაწილე თავს იყრის სტოკჰოლმში დასკვნითი ნაწილის გასათამაშებლად.

პარიზში გაიმართა შესარჩევი მატჩი საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებს შორის. საკმაოდ მოულოდნელად ფრანგებმა პირდაპირ „ტყავი გააძრეს" ძლიერ მეტოქეებს. ბარტესმა (საფრანგეთი) ჯერ საკმაოდ იოლად სძლია ეკლებენს — 6:3, 6:1, შემდეგ კი გერმანელების უძლიერეს მოთამაშეს ბუნჰარტს— 8:6, 6:3. ეს შედეგი მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ წელს ბუნჰარტმა მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოიჩინა თავი. ასევე ორი გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთის ჩემპიონმა დარმონმა ბუნჰარტთან — 6:2, 6:4 და ეკლებენთან — 10:8, 6:2. წყვილთა შეჯიბრება ასევე ფრანგების გამარჯვებით დასრულდა: ბარტესმა და კონტემ სძლიეს — 7:5, 6:3 ბუნჰარტსა და სტუკს. ამგვარად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გამოეთიშა გათამაშებას.

ამავე თასის მეორე შესარჩევი მატჩი გაიმართა სტოკჰოლმში. ერთმანეთს შეხვდნენ შვედები და ინგლისელები. ეს შეხვედრა ბევრად უფრო დაძაბულად ვითარდებოდა. შვედებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2. დიდი ინტერესი გამოიწვია „პრემიერების", ვილსონის (ინგლისი) და ლუნდკვისტის შეხვედრამ, რომელიც მძაფრი ბრძოლის შემდეგ (2:6, 6:2. 10:8) მოიგო ლუნდკვისტმა.

ჩოგბურთის ამბები

უხეშობის წინააღმდეგ

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იგი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში არ შეიყვანს ფეხბურთელებს, რომლებიც მინდვრიდან იქნებიან გაძევებული ინგლისის ჩემპიონატის მატჩებში.

ეს ერთ-ერთი უკიდურესი ზომაა, რომელსაც ბრიტანელები მიმართავენ უხეში თამაშის წინააღმდეგ.

„სანტოსის" დიდი მარცხი

წელს ფეხბურთელთა გუნდ „სანტოსს" მეტად დაძაბული სეზონი ჰქონდა. ხანგრძლივი ტურნე ევროპაში, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის დრამატული მატჩები და, რაც მთავარია, სამი სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება საკონტინენტთაშორისო თასზე, ბრაზილიელებს დიდი ძალღონის დახარჯვად ულირდათ. პელესა და ზიტოს ავადმყოფობის მიუხედავად, „სანტოსმა" მთავარი მაინც გააკეთა — შეინარჩუნა თასი. თუმცა იტალიელ მიმომხილველებს რომ კითხოთ, „მილანს" ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა კი არა, გულშემატკივრებმა დაამარცხეს. ფარხმალი. განსაკუთრებით ბევრი მოხვდათ გულშემატკივრებისაგან „მილანის" ბრაზილიელ მოთამაშეებს ალტაფინის, ამარილდოსა და სანის, რომლებსაც „სამშობლოს გამყიდველები" უწოდეს.

მაგრამ, ასეა თუ ისე, „სანტოსს" უკვე აღარ ყოფნის ძალა დანარჩენი შეჯიბრებებისათვის. ამჟამად გუნდი მონაწილეობს სან-პაულუს შტატის ჩემპიონატის გათამაშებაში, სადაც წინათ მუდმივად პირველ ადგილზე გამოდიოდა. წელს კი „სანტოსს" მძაფრი კონკურენცია გაუწიეს „პალმეირასმა" (აქ თამაშობს ვავა) და „სან-პაულუმ". ამ დღეებში „სანტოსი" დამარცხდა „პალმეირასთან" (0:1) და დაკარგა პირველ ადგილზე გამოსვლის ყოველგვარი შესაძლებლობა. უფრო მეტიც, დღეისათვის კითხვის ქვეშაა დაყენებული უფრო მნიშვნელოვანი საკითხი — მოიპოვებს თუ არა „სანტოსი" ე. წ. „მაქსიმალურ ტურნირში" (ბრაზილიის არაოფიციალური, ჩემპიონატი) მონაწილეობის უფლებას.

* * *

ულრიხ ნიცშკე — ნოკაუტში

გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდს" სპორტულ განყოფილებაში მოჰყავს ციტატა დასავლეთ ბერლინის გაზეთ „ტაგესშპიგელიდან". იგი ეკუთვნის ოცდაათი წლის სპორტსმენს, რომელმაც უკვე დაამთავრა თავისი კარიერა როგორც პროფესიონალმა მოკრივემ. „მე ახლა ვცდილობ მოვიპოვო მოქალაქეობრივი არსებობა. აღარ მსურს და აღარ შემიძლია საკუთარი ტყავი ბაზარზე გავიტანო რაღაც სასაცილო თანხისათვის და ჯიბე გავუსქელო მენაჯერებსა და შეჯიბრებათა მომწყობთ".

ამ მწარე აღმოჩენის ავტორია ულრიხ ნიცშკე. იგი ერთ დროს გდრ-ის მოკრივეთა ნაციონალურ ნაკრებში შედიოდა, იყო ევროპის ჩემპიონი 1953 წელს მოყვარულთა შორის. მაგრამ, სამწუხაროდ, მას შრომა არ უყვარდა. ოქროს ჩხრიალმა მოხიბლა და ბერლინში გადავიდა. აქ იგი დიდი ზეიმით მიიღეს როგორც „ლტოლვილი". მისთვის შოულობდნენ მესამე რანგის მოწინააღმდეგეებს, რომელთა დამარცხებაც მას ადვილად შეეძლო. შემდეგ კი ამას მოჰყვა პირველი დამარცხება. „თავისუფლება" ახლა უკვე აღარ ეჩვენებოდა სამოთხედ.

მეგობრები თანდათან შემოეცალნენ, გაზეთები კი სულ უფრო ნაკლებ ზრდილობიანი ხდებოდნენ მის მიმართ. დიდი ბიზნესი საპნის ბუშტივით გაჰქრა.

ახლა ნიცშკემ მენაჯერებსა და მატჩების მომწყობთ უკან დაუბრუნა თავისი ლიცენზია. ხუთი წელი დაჭირდა ნიცშკეს ეღიარებინა ის, რასაც ადრევე თვით იგდებდა სასაცილოდ, როგორც დაუჯერებელს.

„ტაგესშპიგელმა" მოკრივის აღიარება „ორიგინალურად" ახსნა: ნიცშკე თურმე არასოდეს ყოფილა და არც შეუძლია იყოს ნამდვილი პროფესიონალი, რადგან იგი „აღმოსავლეთ ზონაში" (გდრ-ში) „განებივრებული ჰყავდათ".

რედაქტორი ი. უგულავა.

სპორტის
სასახლე
ხელბურთი
საერთაშორისო ტურნირი"

15 - 17 დეკემბერი

მონაწილეობენ: საბჭოთა კავშირის, რუმინეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

საზღვარგარეთიდან...

გაგრძელება იქნება...

მექსიკელი მეკარე კარბახალი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს თავის ქვეყანაში. იგი იცავდა თავისი ქვეყნის ნაკრების კარს 1950, 1954, 1958 და 1962 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში.

მექსიკის კინოკომპანიამ გადაწყვიტა გადაიღოს ფილმი „დიდი კარბახალი", რომელშიც მთავარ როლს თვით სპორტსმენი შეასრულებს. „ყველაფერი ეს კარგია, — თქვა კარბახალმა, — მაგრამ ვფიქრობ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ საჭირო გახდება გადაიღონ ამ ფილმის მეორე სერიაც, ვინაიდან გადაწყვეტილი მაქვს მივიღო მონაწილეობა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატშიც. ასე რომ, გაგრძელება იქნება".

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის—3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 06135